ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95252133**

თარიღი:**01/08/2025**

მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. განისაზღვროს ფულადი ჯილდოს ოდენობები, საპრიზო ადგილების მიხედვით, დანართი №2-ის და დანართი №3-ის შესაბამისად.

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოს სათანადო წესით წინამდებარე განკარგულებით განსაზღვრული თანხის ოდენობების გაცემა.

4. დანართი №1, №2 და №3 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული „სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით (სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამა) გათვალისწინებული „2024 წელს წარმატებული სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების წახალისების ფონდი“ თანხის განკარგვა განხორციელდეს „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის №გ-95. 95242082 განკარგულება შესაბამისად.

6. განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მეორე დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივლისის №გ-95.95242082 განკარგულება.

7. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

8. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ შედეგებზე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე